

მოწვევა ევროპის კოლეჯებისა და ასოციაციების პირველ შეხვედრაზე

მვირფასო პრეზიდენტო,

მვირფასო კოლეჯებო,

ზოგადი პრაქტიკა/საოჯახო მედიცინა ევროპაში კარგად არის ორგანიზებული. **Wonca**–ს ევროპის რეგიონი უფრო დიდია და უკეთაა სტრუქტურირებული; ჩვენ გვაქვს საგანმანათლებლო, კვლევითი, ხარისხის გაუმჯობესების, პრევენციის, სასოფლო და იზოლირებული პრაქტიკების ქსელები, რაც ჩვენი მუშაობის საუკეთესო შედეგებს განაპირობებს. ჩვენ გვაქვს სპეციალური ინტერესის ჯგუფები გავრცელებული დაავადებებისათვის, ხოლო პოლიტიკური საკითხებისათვის ჩვენ გვაქვს ზოგად პრაქტიკოსთა ევროპის კავშირი (**UEMO**).

აღნიშნული ორგანიზაციებისათვის საუკეთესო მხარდაჭერას ეროვნული კოლეჯები და ასოციაციები წარმოადგენს; ამიტომ ყველა ზემოაღნიშნული ინიციატივის შემდგომი განვითარების მიზნით ჩვენ გვჭირდება მძლავრი, კარგად ორგანიზებული და ფინანსურად გამართული კოლეჯები და ასოციაციები. ხშირად, ჩვენ არ გვაქვს საკმარისი დრო ჩვენი ორგანიზაციებისათვის და ვერ ვიღებთ იმ მხარდაჭერას საერთაშორისო თანამშრომლობიდან, რომლის მიღებაც შესაძლებელია. უმრავლეს შემთხვევებში ერთობლივად შეგვიძლია ჩვენი საქმიანობის უკეთ წარმართვა, ერთმანეთისაგან სწავლა და გამოცდილების გაზიარება საუკეთესო ორგანიზაციული პრაქტიკის შესახებ.

სიტუაციის შეცვლის მიზნით ჩვენ გთავაზობთ შეხვედრას პორტუგალიაში 2008 წლის აპრილში, რომელიც ღია იქნება ევროპის ყველა კოლეჯისა და ასოციაციისათვის; შეხვედრას უმასპინძლებს ზოგადი პრაქტიკის პროფესიონალთა პორტუგალიის ასოციაცია და ის წარმართება **Wonca**–ევროპის ეგიდით. ჩვენ ვიწვევთ ევროპის ყველა ასოციაციის ერთ ან ორ წევრს, განსაკუთრებით მათ, ვინც ორგანიზაციულ ასპექტებთან არის დაკავშირებული და მოველით დაახლოებით 50 მონაწილეს.

დელეგატები ჩამოვლენ 4 აპრილს და ექნებათ არაფორმალური შეხვედრა, იმუშავებენ სრული დღის განმავლობაში (ჯგუფური მუშაობა და პლენარული სხდომები) შაბათს, და უკან გაემგზავრებიან კვირას.

ჩვენ მოხარულნი ვიქნებით დავფაროთ სასტუმროში ცხოვრების ორი ღამისა და კვების ხარჯები ორი ადამიანისათვის ყველა ევროპული ასოციაციიდან, ასევე შეხვედრის ორგანიზების ხარჯები. მონაწილეებს გადასახდელი ექნებათ მხოლოდ საკუთარი მგზავრობის ხარჯი.

დისკუსიებისა და ინფორმაციის გაცვლის მთავარი თემები შესაძლოა იყოს: მენეჯმენტის საკითხები, მაგ. პუბლიკაცია, შეხვედრების ორგანიზაცია, კომპანიების ან ფონდების მფლობელობა, მომსახურების მიწოდება წევრებისათვის, კოლეჯების შიდა ორგანიზაციები, მაგ. პერსონალის კონტრაქტირება და პოლიტიკის საკითხები, მაგ. პოლიტიკოსებთან და მას-მედიასთან ურთიერთობა, ფარმაცევტული ინდუსტრია, დაფინანსება და ა.შ.

მოგვაწოდეთ წინადადებები სადისკუსიო საკითხების შესახებ და უახლოეს მომავალში გამოგიგზავნით შეხვედრის უფრო დეტალურ გეგმას.

წარმატების შემთხვევაში მომავალი შეხვედრების ორგანიზება შესაძლებელი იქნება ორ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა ქვეყანაში.

მომავალ შეხვედრამდე ლისაბონში.

ლუის ავგუსტო პისკო

პრეზიდენტი, ზოგადი პრაქტიკის პროფესიონალთა პორტუგალიის ასოციაცია

Avenida da República, 97 -1º

1050-190 ლისაბონი

პორტუგალია

apmcg@netcabo.pt
